



7258-04-9-2-202007231602



N 04-9/7258

23/07/2020

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის
სააგენტოს დირექტორს
ბატონ ბესარიონ სიმონიშვილს

წინადადება

(ქვეყანაში ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეული დევნილთა დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ბესარიონ,

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებების მდგომარეობას საქართველოში, ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.

მინიჭებული მანდატის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველმა ზედამხედველობა გაუწია პანდემიის პირობებში დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას და წინამდებარე დოკუმენტით წარმოგიდგინებთ საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებას პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეული უფლებების დარღვევის აღდგენასთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში Covid-19 -ის გავრცელების მასშტაბის შესამცირებლად საგანგებო მდგომარეობა 21 მარტს გამოცხადდა და 22 მაისის ჩათვლით მოქმედებდა.¹ ამ პერიოდში რიგი ადამიანის უფლებები შეიზღუდა, ასევე აკრძალვა შეეხო გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებს. დაწესებულმა შეზღუდვებმა, ცხადია, გავლენა იქონია დევნილ მოსახლეობაზეც. იმულებით გადაადგილებული პირები დადგნენ იმ პრობლემების წინაშე, რაც საქართველოს სხვა დანარჩენ მოქალაქეებთან მიმართებაშიც აქტუალურია, თუმცა არის გარკვეული საკითხები, რაც სპეციფიურად დევნილი საზოგადოებისთვის წარმოადგენს გამოწვევას.

1. იდენტიფიცირებული პრობლემები:

¹ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 ბრძანება; საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5864-ს დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 21 აპრილის N2 ბრძანება და საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 22 აპრილის N5866-ს დადგენილება.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილებისთვის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია ჰიგიენის დაცვაა (ხელების ხშირი დაბანა წყლითა და საპნით). ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით,² დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების ნაწილში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმართაობის/ხელმისაწვდომობის პრობლემები დგას. კერძოდ, დევნილებს ზოგ შემთხვევაში არ მიეწოდებათ წყალი, ხოლო ზოგიერთ განსახლების ობიექტში გაუმართავი/ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემაა. ასეთ ობიექტებში მცხოვრები დევნილ ოჯახებისთვის ძალიან რთულია დაიცვან ახალი კორონავირუსის Covid-19-ის მასშტაბურად გავრცელების თავიდან აცილებისთვის გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, ვინაიდან მათ არ მიუწვდებათ ან/და ნაკლებად მიუწვდებათ წყალზე. აღნიშნულის გამო შესაძლებელია მაღალი იყოს ვირუსის გავრცელების რისკი. აღნიშნული რისკი კიდევ უფრო მაღალია ობიექტებში, სადაც მაცხოვრებლებს უწევთ საერთო სველი წერტილებით სარგებლობა.

დევნილთა მომართვიანობის შედეგად დამატებით გამოიკვეთა სოციალური პრობლემებიც. კერძოდ, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფომ ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის სამი თვის განმავლობაში გარკვეული ოდენობის დანახარჯებზე სუბსიდირება განახორციელა.³ დღესდღეობით 493 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტია,⁴ რომელიც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არის გაზიფიცირებული სხვადასხვა მიზეზების გამო (ზოგიერთ შემთხვევაში გაზიფიცირება უსაფრთხოების ნორმების არარსებობის გამო არ მომხდარა, შემთხვევების ნაწილი კი არ არის განკუთვნილი დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის). ასეთ შემთხვევაში მაღალი იყო ოჯახების მიერ ელექტროენერჯის მოხმარება და დანახარჯმა დადგინდეს ლიმიტს გადააჭარბა, რის გამოც მათ ვერ ისარგებლეს სახელწმიფოს დახმარებით.

კიდევ ერთი სოციალური პრობლემა დევნილთა მიმართ გაცემულ დახმარებებს შეეხება. კერძოდ, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ გარკვეული დახმარება (ძირითადად სასურსათო კალათა) გასცა დევნილ ოჯახებზე და ამისათვის შეიმუშავა შესაბამისი კრიტერიუმები. ჩვენი შეფასებით, სააგენტოს მიერ შემუშავებულმა კრიტერიუმებმა არ გამოკვეთა ყველა ის კატეგორია, ვისაც შესაძლოა დახმარების საჭიროება ჰქონოდა. მაგალითად: დახმარების მიღმა დარჩნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (30 001 ერთეულზე ნაკლები ქულით) რეგისტრირებული მარტოხელა პენსიონერები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც მოგეხსენებათ, დევნილი ოჯახების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული. აპარატისათვის დევნილი განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პანდემიის მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებული შეზღუდვების ფარგლები მათ დაკარგეს სამსახური და შესაბამისად შემოსავალიც. ბევრი მათგანი დასაქმებული იყო არაფორმალურად და არ გააჩნდათ სტაბილური სამსახური. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მათ ვერ შეძლეს დასაქმების ფაქტის დადასტურება და დარჩნენ უმუშევრად დარჩენილი პირებისთვის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების გარეშე.

² აპარატში მოქალაქეთა მომართვიანობისა და სხვადასხვა დროს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

³ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N220 დადგენილება.

⁴ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 29 მაისის N03/7003 წერილი.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველო, კონსტიტუციის მიხედვით არის სოციალური სახელმწიფო და აღნიშნულის ერთ-ერთი გამოვლინებაა ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე ზრუნვა.⁵ სოციალური სახელმწიფო თავის მხრივ არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანი სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნაა. ხსენებული მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, შესაძლებელია სრულად ვერ განხორციელდეს, თუმცა მათი მიღწევა სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.⁷

თავის მხრივ, „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, ეროვნულ ხელისუფლებებს აკისრებს უპირატეს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რათა იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი დაცვითა და დახმარებით.⁸ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები უზრუნველყოფენ შესაბამისი პირობების შექმნას დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე, ქვეყნის სხვა ნაწილში ნებაყოფლობით, ღირსეულად და უსაფრთხოდ განსახლებისა და ცხოვრების დაწყების პროცესის განხორციელებისათვის.⁹ ამასთან, იღებს ზომებს აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.¹⁰

3. დასკვნა

ზემოხსენებული, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა, სახელმწიფოს მოქალაქეთა, მოცემულ შემთხვევაში კი დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი და აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას ავალებს. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს დევნილთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა ევალება, მნიშვნელოვანია დევნილთა ეკონომიკური გაძლიერებაც და იმ ოჯახების დახმარება, რომლებმაც შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოგმართავთ წინადადებით:

1. აღიწეროს ისეთი ობიექტები, სადაც წყალმომარაგებისა და წყალარინების პრობლემებია და არსებული რესურსების გათვალისწინებით, დროულად ჩატარდეს სამუშაოები ასეთი

⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁶ ცხადაძე თ., *კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში*, „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, 195.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის № 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ. II, პ. 20.

⁸ „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, მე- 3 პრინციპი.

⁹ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

ობიექტების წყალმომარაგებისა და გამართული წყალარინების სისტემების უზრუნველყოფის მიზნით;

2. აღიწეროს ისეთი ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტები, სადაც გაზიფიცირება უსაფრთხოების ნორმების არარსებობის ან დევნილი ოჯახებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ხორციელდება და განხილული იქნეს მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევის საკითხი (მათ შორის შესაბამისი კრიტერიუმების დადგენით);
3. გადაიხედოს დახმარების მიმღებ პირთა კატეგორიები და შესაბამისი დახმარება საჭიროების მიხედვით გაიცეს;
4. მოხდეს ბენეფიციართა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება და გაგრძელდეს დევნილთა თვითდასაქმებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

